ოთხშაბათი, 14 მარტი 1907 წ.

ისარი

წელიწადი პირველი — № 56

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ნეკროლოგიური ხტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1

[illegible] წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] რედაქცია [illegible]. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ტელეგ. ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

11 მარტს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი დეკანოზის დიმიტრი ფომინ—ცაგერლისა

მარიამი.

რისაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ შვილები ნესტორი, პლატონი, თამარ, ოლღა. პანაშვიდი სადამოთი შვილის ნაბევარ საათზედ, ვერა, სიკუთარი სახლი, № 3. გამოსვენება გვამისა ხუთშაბათს, 15 მარტს დილის ცხრა საათზედ, ვერის წმ. ნიკოლოზის მართლმადიდებელთა [illegible]. წირვისა და ანდერძის შემდეგ [illegible] იქნება კუკის მართლმადიდებელთა სასაფლაოზედ. (1—584—1)

ნამდვილი კახური ღვინო

ფასები ქუჩა[illegible] ხელმისაწვდომი. (100—35)

ექიმი
ი. ვაშაკიძე
[illegible] № 92.

ქალის ექიმი
ი. ა. კანდელაკი
[illegible] № 26. (25—5—3)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
[illegible] № 14.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
[illegible] № 9.

სამკურნალო
[illegible]
[illegible] № 481.
[illegible] (100—5—63)

ქალის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე, ვერა, ოლღას ქუჩა, № 25. (0—57)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ ზიდვაგანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოთი 6—7 საათ. ვერაზე, ფურცელაძის ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—66)

—ლაბორ-ბაცილიანი რძე—
უზადღება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ
ა. ს. პლეშანსკის
ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში
ვორონცოვის ხიდის პირდაპირ. ტელეფონი № 389. (100—51—93)

ფოთის საურთიერთო კრედიტის
საზოგადოება
ამით აცხადებს თავის წევრებს, რომ კვირას, 8 აპრილს, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათისთვის დანიშნულია წლიური კრება საზოგადოებისა.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1906 წლის ანგარიშისა;

2. დამტკიცება 1907 წლის ხარჯთაღრიცხვისა;

3. არჩევნები სარევიზო კომისიის სამის წევრისა და სამის მათი კანდიდატისა. საზოგადოების წესდების §§-36 §-ის ძალით, რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაში მონაწილეობის მიღების შესახებ უნდა წარუდგინოს გამგეობას სამი დღით ადრე კრებამდე, ესე იგი არა უგვიანეს 5 აპრილისა. (3—5—2)

ქ უ ტ ა ი ს ს ი ს ი ს ი ს ბ ი ს ი ს ო ს ა ბ ი
ქართული წარმოდგენა
სახაზინო თეატრში

ბენეფისი
ა. ფუქიძის, ხუცურაულის ბ. ბეჟლაძისა და ხუცურაულის ა. ფუქიძე[illegible]

ხუთშაბათს, 15 მარტს, 1907 წელს
[illegible]

ყაჩაღები
[illegible]
[illegible] (100—5—63)

ნაფის
ვექილთა და მათ თანაშემწეთა კონსულტაცია ტფ. ოლქის სასამართლოსთან აძლევს დარიგებებს და ადგენს საქმის ქაღალდებს.

კონსულტაცია ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (3—ე—2)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.
„კოლხიდა“
აწვდის სოფლის მეურნეებთან შემოწმებულ აბრეშუმის თესლს, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (თონჯა, კონდვარი), ხეხილების და ვაზების ნერგებს. იქვე მიურყვილი შეუძლიათ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-ხარისკვეობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—2)

ტფილისი, 14 მარტი.

მთავრობის დეკლარაციაში, როგორც ვიცით, ბევრი დაპირებაა, ბევრი ახალი კანონი და რეფორმაა აღნიშნული. არ დარჩენილა არც ერთი მხარე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელსაც არ ეხებოდეს სტოლიპინის მიერ გამოქვეყნებული გეგმა. როგორი იქნება ეს კანონები, როგორი იქნება მთავრობის მიერ განზრახული რეფორმები, ამას შემდეგში დავინახავთ, როცა სათათბიროს წარედგინება უკვე შემუშავებული პროექტები; ჯერ-ჯერობით-კი ყველაფერი დაპირება და სიტყვებია. ამისთანა დაპირება და ლამაზი სიტყვები უკვე ორი წელიწადია გვესმის მთავრობისაგან, მაგრამ ტყუილებს არა სჩანს.

განა მარტო სახელდობ 17 ოქტომბრის აღთქმული არ იქნა „ნამდვილი მოქალაქეობრივი თავისუფლებანი“? განა მაშინ არ იქნა აღიარებული სიტყვის და კრების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა და სხვა გარანტიები მოქალაქეობრივ ცხოვრებისა? მაგრამ სწორედ ამ დაპირებათა შემდეგ მოისპო რუსეთში ყოველი გარანტია ადამიანურ ცხოვრებისა. სადღაა მოქალაქეობრივობა, როცა რუსეთი ვრცელდებს დაუნდობლად, რომელთაც ძველი ცუდი კანონების-კი გაუქმებს და თავიანთ სტრაპიებს თავის სრულს ნებაზე ჰმართავენ?! სადღაა სამართალი, როცა სამხედრო სასამართლოც-კი გააუქმეს და მის მაგიერ სამხედრო-საველე სასამართლოები შემოიღეს, რომლებშიაც დაცული არაა მართლმსაჯულების არც ერთი პირობა?! სადღაა პიროვნების ხელშეუხებლობა, კრების ან სიტყვის თავისუფლება?! დაპირება დაპირებად დარჩა, ნამდვილად-კი უარესი პირობები გამეფდა. ვიდრე წინად იყო... ამიტომაცაა, რომ ახლა არავის არ სჯერა მთავრობის აღთქმანი და სტოლიპინის რიხიანმა დეკლარაციამაც არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ქვეყანაზე. სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები! გაიძახის ყველა, საქმეს-კი სხვაგან მოელის...

მეორეველს ამასთან, რასაკვირველია, რომ მარშანდელს დეკლარაციაშიაც, სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, აღთქმული იყო რეფორმები, მართალია, დეკლარაციის მეორე ნახევარი რევოლიუციის ბრძოლას უძღვნილი და ამიტომ „განსაკუთრებულ დაცვის წესებზე“ უარს არ ამბობდა, მაგრამ მთავრობა ვადაპირით ამბობდა, მარტო რეპრესიებით მოქალაქეობრივობა ვერ დამყარდება და ამიტომ საჭიროდ სთვლიდა „განახლების“ რეფორმათა შემოღებას. ეს დაპირებაც ტყუილი გამოდგა: პირიქით, სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ქვეყანას უარესი დღე დაადგა... მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა პრაქტიკულად უნდა დარწმუნებულიყო თავისავე სიტყვებში: „მარტო რეპრესიებით არ შეიძლება მოქალაქეობრივის დამყარება“, მაინც რეპრესიების მეტი ქვეყანას არა უნახავს-რა შემდეგ თავის განმავლობაში. მოსალოდნელი იყო, რომ ახლა მაინც, როცა მეორე სათათბირო შეიკრიბა, როცა ხალხმა არჩევნებით დაჰგმო მთავრობის პოლიტიკა, როცა თვით სამინისტრო იწვევს ხალხის წარმომადგენელთ „შეთანხმებით ვიმუშაოთ“,—ახლა მაინც არ დაემყარებოდეს სტოლიპინი მარტო სიტყვებს; მოსალოდნელი იყო, რომ ახალს განცხადებას მოაყოლებდა რაიმე პრაქტიკულ ზომას, მოისპობდა ამა თუ იმ რეპრესიულ დადგენილება-დაწესებულებას და ამით დაანახვებდა ხალხს, რომ მართლა გულწრფელად ჰსურს „შეთანხმებული მოღვაწეობა სახალხო წარმომადგენლობასთან“. მაგრამ დეკლარაციაში არავითარი ამისთანა არაა; არის მხოლოდ მომავალ პროექტების აღნუსხვა; ხოლო იქნება რომელიმე სამხედრო წესების გაუქმება, ველურ სასამართლოების მოსპობა, რაიმე ამნისტია,—ამაზე „საკონსტიტუციო კაბინეტი“ კრინტსაც არ სძრავს. მარტო ეს გარემოებაა საკმარისი სიქვა, რომ ახეთ მთავრობასთან შეთანხმება-კი არა, მეორე სათათბიროც ვერ მოახერხებს შეთანხმებულ მუშაობას, თუნდაც ის მეორე სათათბირო სულ ზომიერებიდან შესდგეს...

დეკლარაციის დასასრულ სტოლიპინი კვლავ და კვლავ იმეორებს იმ აზრს, რომ რეპრესიებით ქვეყანაში მოქალაქეობრივა ვერ გამეფდება. „ჩვენის დიდებულ სამშობლოს დამშვიდება და განახლება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო წესწყობილების ახალ საფუძველთა და პრინციპთა განხორციელებით“-ო, დაჟინებით იმეორებს პრემიერ-მინისტრი. მაგრამ ერთ ნაბიჯსაც არ სდგამს წინ, რომ ნიადაგი მაინც მოამზადოს. საველე სასამართლოებზედაც-კი ვერ გაუბედნია უარის თქმა, თუმცა ხელთ აქვს სამხედრო-საოლქო სასამართლოები, რომელნიც არაფრით ჩამორჩებიან პირველს! რომ მთავრობის განცხადებას რეფორმებზე არავითარი რეალური ნიშნეულობა არა აქვს, ამას წარსული გამოცდილებაც ნათლად; ამისავე საბუთს ამჟღავნებს გვიძლევს ყოველ დღე წაიკითხავთ თუნდ გუშინდელი დეპეშა სტოლიპინისა რიგის ოქტომბრისტების მიმართ. სტოლიპინი მადლობას უხდის ბალტიის მხრის რუს-ოქტომბრისტებს მილოცვისათვის და დასძენს: „მწამს, რომ თქვენის დახმარებით აღვადგენ რუსეთში წესიერებას, ურომლისოდ არ შეიძლება 17 ოქტომბრის აღთქმულ რეფორმების აღსრულება“. როგორც ხედავთ, ამ სიტყვებით პირდაპირ გამოთქმული და აღიარებულია თვით-მპყრობელ ბიუროკრატიის მართვა-გამგეობის მთელი ფილოსოფია: ჯერ წესიერება უნდა აღვადგინოთ, მერე რეფორმებიც შეიძლება. დეკლარაციაში-კი „კონსტიტუციონალისტი“ სტოლიპინი ამბობს, უფრო ფორმებით, მარტო რეპრესიებით, წესიერების აღდგენა არ შეიძლებაო. აი, გულწრფელობის უტყუარი საბუთი!..

„ჯერ წესიერება, მერე რეფორმა“—არ ახალია, ძველია: ეს ლოზუნგი ესმის რუსეთს უკვე ორმოცი წელიწადია, ე. ი., მას შემდეგ, რაც დაიწყო საზოგადოებრივი მოძრაობა აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ. ამ დროის განმავლობაში კიდეც აღსრულებული მთავრობის წადილი წესიერებაზე: სამარისებური სიჩუმეც კი ჩამოვარდნილა, მაგრამ რეფორმას ამათდ მოელოდა დატანჯული ხალხი. ამიტომ ახლა ამ ლოზუნგს არავითარი ფასი აღარ აქვს, მთავრობა აწი ნდობას ვეღარ დაიბრუნებს და ქვეყანამ კარგად იცის, რომ თავის თავს თვითონ უნდა უშველოს.

სათათბირო და საბჭო
(საკუთარი დეპეშები)

სათათბიროს სხდომა. სხდომა გაიხსნა 11 საათსა და 7 წუთზე. მინისტრების პავილიონში იყვნენ: სტოლიპინი, რედიგერი, ტრუსევიჩი. სათათბიროს თავმჯდომარეობდა გოლოვინი. სხდომის გახსნისათვე თავმჯდომარემ წაიკითხა მინისტრების მიერ შემოტანილი ახალი კანონ-პროექტები. საყოველთაო სწავლის, პიროვნების ხელ-შეუხებლობის და მიწერ-მოწერის საიდუმლოობის შესახებ. შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა სათათბიროს: „რომელ დღეებში დანიშნავენ საერთო სხდომას და რომელ დღეებს მიუჩნენ ცალკე კომისიების სხდომებს. სათათბირომ გადაწყიტა: მოხდეს სათათბიროს საზოგადო სხდომები ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით. მიხეილ სტახოვიჩმა წინადადება შეიტანა, დღესვე გადაწყვიტონ, რომელ საათზე უნდა შესდგეს ხოლმე საზოგადო სხდომა. თავის მხრივ ურჩია, ნაშუადღევის ორ საათიდან იწყობოდეს სხდომები, შიდლოვსკი-კი დილის 11 საათს ამჯობინებდა. კამენსკიმ და კრუპენსკიმ სტახოვიჩს მხარი დაუჭირეს. მემარცხენეთა წარმომადგენელმა ითხოვა, რომ პარასკეობით 2 საათზე დაიწყონ ხოლმე სხდომები, რადგან მაჰმადიანები ამ დღეს მეჩეთში უნდა წავიდნენ ხოლმე. ჭანჭი უარყოფ საკითხს და მიიღეს: დაიწყონ ხოლმე სხდომა დილის 11 საათზე, პარასკევობით ორ საათზე ერთი საათით დაისვენონ და გაათაონ საღამოს 6 საათზე. როცა საჭირო იქნება, საღამოთიც განაგრძობენ სხდომას. თუ ეჭვი შეეხება, მაშინ სხდომა მოხდება შემდეგ ოთხშაბათს ან შაბათს.

კადეტმა ალ. სტახოვიჩმა წინადადება შეიტანა, პირველად განიხილონ საკითხი სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმების შესახებ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კად. შინგარევმა და ალექსინსკიმ, რომელსაც მემარცხენეებმა და ცენტრის ერთმა ნაწილმა ტაში დაუკრა. მემარჯვენენი ბობრინსკი, პურიშკევიჩი, სინადინო წინააღმდეგნი იყვნენ. მათ განაცხადეს, შეუძლებელია ასე ჩქარა გაარჩიონ მოხსენება, რომელიც ეხლახან დაურიგეს დეპუტატებსო.

ჭანჭი უარყოფ საკითხს. მემარჯვენენი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მემარცხენეებმა და ცენტრმა გადასწყვიტეს საკითხის დაუყოვნებლივ გარჩევა. მომხსენებელმა ვლ. გესსენმა წაიკითხა 44 დეპუტატის წინადადება სამხედრო საველე-სასამართლოების გაუქმების შესახებ.

ვლადიმირ გესსენი. სტოლიპინი დეკლარაციაში საველე სასამართლოებს სრულებით არ იხსენიებს. ეტყობა, მთავრობას არა სურს სათათბიროს გახსნიდან ორი თვის განმავლობაში კრინტი დასძრას სამხედრო-საველე სასამართლოებზე, რომელიც შემოღებულ იქმნა ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით. 20 აპრილს ხომ საველე სასამართლოს კანონი თავის-თავად გაუქმდება. შეუფერებელია ხალხის წარმომადგენლობასთან ერთად საველე სასამართლოს არსებობა და ამიტომ სათათბიროს შეუძლიან მისი გაუქმება დააჩქაროს. ეტყობა, სამინისტროს არა სურს ერთი თვის გულისთვის კანონ-პროექტის განხილვა შეიტანოს. ამიტომ, ჩემის აზრით, საკითხი თვის თავად მარტივია და ბევრ სჯა-ბაასს არც სათათბიროში გამოიწვევს და არც საბჭოში. კადეტთა პარტიას, შემოაქვს რა ამის შესახებ წინადადება, სჯეროდა მისი სახელმწიფოს დამშვიდებისა. დამშვიდებისთვის საჭიროა შეწყდეს ჯალათის ხელი, შეწყდეს სისხლის ღვრა, მეშრეს ცრემლები. სათათბირო უნდა წინაღუდგეს მთავრობის ტერორს, რომელიც იწვევს ტერორს მეორე მხრიდან.

ჩვენ ვერ შევსძლებთ აპოლოგიურად ასეთის ფურცლებიდან ის ბეჭედი, რომელიც დაწერილია სამხედრო-საველე იუსტიცია. გადავშალოთ ეს გვერდი (ბე-

რომელნიც და სხვა მემარჯვენენი: „გერმოლ არსებითად ილაპარაკოო“). დღეურიწილივ უნდა მიენდოს ამიდ არჩეულ კომისიის, რომ ერთი დღის განმავლობაში განიხილოს საქმის და გაიგოს თავმჯდომარეს, საქმის სათაოსნაროს მიძღვნილ სხდომაზე გაარჩეს.

მინისტრები თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. დაიწყო კამათი.

კონსტანტინოვი. (მემარცხ. განახ. პარტია). წინადადება ვერ საკითხის კომისიაში გადაცემისა. წინადადებას გადავით, ახლავე გავარჩიოთ. ერთი კაცი, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, ყვიროდა: „გაუმარჯოს თავისუფლებასაო“; საუკუნეთა მოლოდინის მანიერის სიკვდილით ილუპებიან! (ძლიერი ტაში მარცხნივ). ერთად-ერთი სასამართლო, რომელიც ნამდვილ საჭიროების შეეფერება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოა.

მირსკის (ს.-რევოლ.). ორატორმა სამხედრო-საველე სასამართლოებს ადმინისტრატიული ძალმომრეობა უწოდა. თვით სამინისტრო, რომელშიც თავისი თავი კონსტიტუციონ-ურად გამოაცხადა, არ მგონია, რომ წინადადებით იყოს ამ სასამართლოების გაუქმებისა. ახლო მომავალში ს.-რევოლუციონერები ხალხთ სოციალისტებისა და შრომის ჯგუფთან ერთად წარმოადგენენ კანონპროექტს ყველა განსაკუთრებულ წესების გაუქმების შესახებ.

გეჩეს-კორიკეში აღნიშნა, რომ დიდძალი ხალხი ისჯება სიკვდილით და ამ საზარელ შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფებით. სამხედრო-საველე სასამართლო, რა თქმა უნდა, სასამართლო არ არის და კულტურულ სახელმწიფოში მისი არსებობა შეუძლებელია. ოლქისაში განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თითა დასჯილი უდანაშაულო იყო, ასეთივე შეცდომა ირკუტსკსა და კრასნოიარსკში მოხდა. საველე იუსტიციის ბოლო ახლოვდება. სამხედრო საველე იუსტიციასთან ერთად უნდა გადაისინჯოს ის განაჩენებიც, რომლის ძალითაც სიკვდილით დასჯა კატორღით შეუცვალეს. ვეძრობები კადეტების პროექტს, რომ განაჩენი, რომელიც საველე სასამართლოს გაუქმების დღეს სისრულეში მოყვანილი არ იქნება, სისრულეში არ მოიყვანონ და ამაზე გენერალ-გუბერნატორებს დეპეშით ეცნობოს. იმათი საქმეებიც, ვინც ახლა სახეკლის იხლის საველე სასამართლოების განაჩენით, ხელ-ახლა უნდა გადაეცეს სასამართლოს, თანახმად სისხლის სამართლის დებულებისა. ვეთანხმები მირსკის აზრს ყველა საგანგებო წესების გაუქმების შესახებ და საჭიროდ არ მიმაჩნია მოქალაქეთა საქმეებიც სამხედრო სასამართლოთ გაარჩიოს (ორატორი მემარჯვენეებს მიუბრუნდა). ვბედავ იმედი ვიქონიო, რომ საველე სასამართლოების დამცველ სიტყვას არ გავიგონებ. სათათბირო, ვფიქრ, ერთხმად მიიღებს იმის გაუქმებას.

ბუდილა (შრომის ჯგუფისა). გლეხთა კავშირის და შრომის ჯგუფის სახელით ვუერთდები სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმებას. სამხედრო-საველე სასამართლოები პატარა კუნძა ჯოჯოხეთურ მტრობისა. (თავმჯდომარე ზარს არაკუნებს და ფიცხლავ აჩერებს ორატორს). შემდეგ ორატორი სხვა საგანგებო წესებსაც შეეხო. (თავმჯდომარემ უთხრა „საკითხს ნუ გადაუხვევთო“). მოვმართავ რუსეთი კავშირს და მოგიყვან ნამდვილ რუსულ გვარებს: ვილნოში — ფრეზე, პეტერბურგში — ლაუნიცი და კლეიგელსი, პრიამურის მხარეში — უნტერბერგერი, ოდესაში — კაულბარსი (თავმჯდომარემ ორატორი კიდევ შეაჩერა და შენიშნა: „ჩამოთვლილნი რუსეთის ქვეშევრდომნი არიან“. ტაში ცენტრსა და მარჯვნივ). სასიხარულოდ მიმაჩნია, რომ ეს რუსის ქვეშევრდომნი რუსულ გვარებს არ ატარებენ. (ტაში მარცხნივ).

ბელაგინი (მემარჯვენე). ვთანხმები, რომ საველე-სასამართლო არა ნორმალური მოვლენაა, მაგრამ საჭიროება გვაიძულებს იმის შემოღებას, როცა საზოგადო მართლ-მსაჯულება უძლურია. ჩვეულებრივი სასამართლო ამისთანა დროში თავს ვერ გაიწევს. თვით მოსამართლენი შიშ (ტერორის) ქვეშ იმყოფებიან. თუ კადეტები კონსტიტუციისთან საველე სასამართლოების შეუფერებლობას ხედავენ, დიდად პატივცემული პარტია რატომ არა ჰკიცხავს რევოლუციონერ იურისტებს და სასამართლოებს? რატომ არა ჰკითხულობს, არიან იქ თუ არა მოწმეები და დამცველები? კადეტებმა უნდა დაიყვირონ: „შეჩერდით სარევოლუციო ტრიბუნალებო!“ ამის მაგივრად ისინი ტაშს უკრავენ მათ მკვლელობისათვის (მარჯვნივ ტაში, ცენტრში: „ბრავო“! თავმჯდომარე აჩერებს დეპუტატს). სახეში ვიღებ თავმჯდომარის შენიშვნას და ერთ ფაქტს გაგახსენებთ: კადეტებმა ტაში დაუკრეს კრებაზე, როცა გაიგეს დუბასოვის სიკვდილის განზრახვა (მარჯვნივ ტაში. მარცხნივ და ცენტრში ხმაურია). ჩემი ვეცხადებ ინტელიგენტურ მკვლელებს! (მარცხნივ ხმები: „კრუშევანი“!) არა, ეს კორიოლენკოა, ხემებოვის მკვლელი (მარჯვნივ: „ვაშა, ვაშა!“ ცენტრში და მარცხნივ: „ტყუილია, ტყუილია“!) ბოლოს, როცა ორატორმა სიტყვა დაათავა, მარცხნივ სტვენა გაისმა, მარჯვნივ ტაშის ცემა.

კრუშევანი. აქ გამოაცხადეს, რომ არც ერთი დეპუტატი არ მოიძებნება საველე სასამართლოს მომხრეთ, მაგრამ არავინ ერთი სიტყვითაც არ შემართია იმ ურცხვებს, რომელთაც ეს სასამართლოები გამოიწვიეს. სანამ აქ სხდებით ჯაჭვს, რომელიც რეგვენებს სისხლის ღვრას უშლის, სათათბირომ უნდა გასკუთხის ისეთი ავაზაკობა, რომელსაც ადამიანის ენაზე სახელიც არა აქვს. ჩვენი ქვეყნიდან არეულობა სხვა ქვეყნებში გადადის. კადეტებმა თავი არ შეიწუხეს [illegible], რა მდგომარეობაშია ჩვენს ქვეყანაში რევოლუციით. შემდეგ ორატორი ებრაულ საკითხზე გადავიდა: ბესარაბიაში გლეხები დღელამ ებრაელებს 5 მილიონ მანეთს აძლევენ. (მარცხნივ: საკითხს ნუ გადაუხვევთ, ეგ საჭირო არ არის, თავი გაანებეთ). მე ვიცი, რომ თქვენ გეშინიათ ამ საგანზე ლაპარაკისა, მაგრამ მე გამოვთქვამ ჩემ აზრს, როგორც თავისუფალი მოქალაქე. შეიძლება თქვენც დამეთანხმოთ (სიცილი ცენტრსა და მარცხნივ). მხარს ვუჭერ საველე სასამართლოების გაუქმებას. გლეხები თითონ მიხვდებიან, რა უნდა გააკეთონ (ხმაურობა და ყვირილი მარცხნივ, ზოგი მემარჯვენე ტაშს უკრავს).

მურამცევი. მოვიყვან მოკლეულ მაღალ სამოხელეთა პირთა სიას: დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე, სიპიაგინი, პლევე, სახაროვი, პავლოვი, სლეპცოვი, მინი, — ყველანი ხანდაზმულნი? უეჭველია გკითხავთ: სად არიან [illegible]? ისინი ცოცხალნი არიან. (მარცხნივ და ცენტრში ხმაურობაა. ცენტრიდან ხმა: „სადაა გერცენშტეინის მკვლელი?“) ორატორმა ჩამოთვალა დასახელებული ერთმანეთი სწავლული, რომელნიც სიკვდილით დასჯის მომხრენი იყვნენ და მოიყვანა მთელი რიგი კანონპროექტებისა, რომელიც თან და თან შეჰქონდათ ინგლისის პალატაში სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე დასავლეთ ევროპაში არსებობს 20 სხვა და სხვა რიგის დანაშაული, რომლის გულისთვის სიკვდილით სჯიან (ხმები: „საველე სასამართლოებზე ილაპარაკეთ“). ვიცით, სად მივყავართ საველე სასამართლოებს (ცენტრსა და მარცხნივ ძლიერი სიცილი). საფრანგეთის რესპუბლიკაში კარგის დროს სიკვდილით სჯიდნენ ადამიანებს. ჩვენ, მემარჯვენეო, აქ გერცენშტეინის მკვლელებს გვეძახიან; ეს სასაცილოა, — მკვლელები მარცხნივ სხედან (მარცხნივ ყვირილი). ორატორმა წაიკითხა ს.-რევოლუციონერების რეზოლუცია, სადაც ტერორი მოწონებულია, სანამ მთავრობის ლოზუნგი სულ არ გამოიცვლება. (თავმჯდომარე სიტყვას არ მოიყვანოს იმისთანა ციტატები, რომელსაც, შეიძლება, ნაწყენდეს პირადად დეპუტატი არც კი თანაუგრძნობდეს!) ორატორმა წაიკითხა „ნოვოე ვრემიადან“ ს.-რევოლუციონერების განცხადება, რომ იმათი ნაწილის [illegible] ამხანაგმა მოჰკლა. სათათბიროში უნდა უჩვენოს, ქვეყანას, ხალხს და ტახტს, რომ ჩვენ ს.-მართლის მიმდევარნი ვართ. საველე სასამართლოს გაუქმება რევოლუციონერების [illegible] ხელის გადახვა იქნებოდა (ტაში მარჯვნივ, სტვენა მარცხნივ).

მაკლაკოვი (კადეტი) ყურადღება მიაქცია განსაკუთრებულ დაცვის დებულების მე-17 მუხლს, რომლის ძალითაც გენერალ-გუბერნატორებს უფლება ეძლევათ ვინც და როდესაც უნდათ მისცენ საველე სასამართლოში. ამის წყალობით ჩნდება ადმინისტრატიული თვით-ნებობა. უბედურება და ბოროტება აი სწორედ ეს არის. ეს სასტიკი რეპრესია კი არა, უკანასკნელი კუთხის გვარ ნორმისა. არის სამხედრო კანონებში მე-279 მუხლი, რომელიც, სამხედრო წესდების ძალით, სიკვდილით სჯის. აქ კერძო კაცის თვითნებობას ადგილი არა აქვს. სამხედრო-საველე სასამართლო შეძლებას არ აძლევს [illegible] კაცი სიკვდილის ფაქტიური მხარეს. 1906 წლის კანონი წინდაწინვე აწესებს სიკვდილის განაჩენს. მემარჯვენეთა თვალით ხედავთ რომ [illegible], უნდა ვილაპარაკოთ, რომ საველე იუსტიცია ჰქმნის ანტი-სახელმწიფოებრიობას. კერძო ინტერესებს არავ იცავენ არც მთავრობა და არც მინისტრები, მაგრამ მემარჯვენე პარტიები, ებრძვიან რა რევოლუციას, ებრძვიან უფლებასაც და კანონსაც. მე ვიცი რევოლუციის დასრულების და არა რევოლუციასთან ბრძოლის. თუ თქვენ, მემარჯვენეებო, დაამარცხებთ რევოლუციას, დაამარცხებთ სახელმწიფოსაც. მაშინ თქვენ ხელთ შეგრჩებათ ერთად-ერთი ხიშტი (ხანგრძლივი და ცხარე ტაში მარცხნივ და ცენტრში). მთავრობამ არ უნდა მიჰბაძოს რევოლუციის ტრიბუნალებს (ტაში). გუშინ ახლოთ ვეტყოდით, ტერორი მარცხნივ ნაკლებ საზარელია საველე სასამართლოებთან შედარებით. ტერორს გადაუვლი, თავს უშველი, საველე სასამართლოსაგან კი ხსნა არ არის. კაცს იყენებენ ოფიცრის წინ და აბრძანებენ პროკურორისა და მღვდლის თანდასწრებით. ადამიანობის დღეოწყებაში მთავრობამ გადააჭარბა ტერორს. საველე სასამართლოებმა ისეთი წესი დაამყარეს, რომელიც არ შეეფერება აქ სამინისტროს სკამებიდან წარმოთქმულ სიტყვებს. იქ და მაქვს, თითონ სამინისტრო განაცხადებს, რომ საველე მკვლელობანი აღარ იქნება (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

კრება ცოტა ხნით შეწყდა [illegible] ლდა 3 საათსა და 17 წუთზე.

გეჩსრის მიერ შეტანილ წინადადებას საველე-სასამართლოების გაუქმების შესახებ მხარი დაუჭირეს [illegible] ფის სახელით ნიკოლაევსკიმ, პიხნომ, ბულგაკოვმა და 17 ოქტომბრის კავშირის სახელით კაპუსტინმა.

კაპუსტინი. სასამართლოში სიმართლე და მოწყალება უნდა იყოს გაბატონებული! საველე სასამართლოში კი არც ერთია, არც მეორეთ. „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“, — ეს არ უნდა გადაიქცეს ძლიერ სახელმწიფოს საშუალებად.

ტესლენკომ (კადეტი) ცხარე სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ [illegible] ჯამუშების წინააღმდეგ არა ხმარობენ იმ ხერხებს, რასაც რუსეთში „შინაურ მტრების“ წინააღმდეგ ხმარობენ. ორატორს მემარცხენეებმა და ცენტრმა რამდენჯერმე ცხარე ტაშის ცემით სიტყვა შეაწყვეტინა.

ბობრინსკიმ (მონარქისტი) [illegible] რა კუზმინ-კარავაევს, — კანონი არ იცავს. მართალი არ არის, ვითომ ავსტრიაში საველე-სასამართლოები მხოლოდ სახელისათვის არის. ბრძოლის ველზე ავსტრიის სისხლის სამართლის კანონით, ბევრი ისჯებიან სიკვდილით. ახლავ საველე წესების გამოცხადების დროს (ორატორმა წაიკითხა ავსტრიის კანონების შესაფერი მუხლი).

სტრუვემ (კადეტი) ხაზგასმით აღნიშნა ის, რომ ოქტომბრისტებიც წინააღმდეგნი არიან საველე სასამართლოებისა და ისინიც ოფიციალურად შეუერთდნენ კადეტების განცხადებას.

ერთმა ლუბანელმა კაზაკმა განაცხადა, რომ სამხედრო კაცები მოსამართლენი არიან საველე მოსამართლეთა როლით.

[illegible] (ს.-რევ.) პასუხი გასცა პურიშკევიჩს და განაცხადა, რომ ს.-რევოლუციონერები ტერორის მიმართ არ იცავენ, იგი მხოლოდ საშუალებაა, რომელსაც რუსის ხალხი მიმართავს [illegible], ს.-რევოლუციონერები პატივს ხელს აღებენ ამ საშუალებაზე, რომელსაც ქრისტე ხმარობს.

მღ. ტიხვინსკი (შრომისმიერთა ჯგუფი) სიკვდილით სასჯელს ბოროტებას ეძახის. არავინ არ იძლევა დაწინაურება. დამნაშავენი არიან ჩვენი ხელმძღვანელნი — მთავრობა (ტაში მარცხნივ). გლეხთა კავშირის და შრომელთა ჯგუფის სახელით პროტესტს ვაცხადებ სამხედრო-საველე სასამართლოების წინააღმდეგ და ვუერთდები კადეტების წინადადებასთან. შემდეგ ორატორმა მიმართა ეპისკოპოსებს ევლოგის და პლატონს და წინადადება

ფელეტონი

არ ახალი, — ძველი
ეკონომიური მატერიალიზმი.
III

(გაგრძელება *)

ჩვენ ვსთქვით, რომ უთანასწორობის აღმოცენებამ თვით საზოგადოების შინაგან ცხოვრებაში წარმოშვა უნდობა, ე. ი. გადაახვევია საყოველთაო საკაცობრიო მორალისათვის, მაგრამ უეჭველად კილოსა ღირსშესანიშნავი ის არის, რომ ეს მორალი არ გაჰქრალა არასოდეს, მიუხედავად ეკონომიურ პირობათა შეცვლისა. ეს კიდევ არაფერი, — ეს მორალი ფართოვდებოდა, და იმის თანახმად თუ როგორ ფართოვდებოდა ადამიანთა შორის განწყობილებათა წრე და მათი მისწრაფება თანასწორობისაკენ, ვითარდებოდა თვით საყოველთაო საკაცობრიო მორალიც, და ამაში იყო ერთი მხარე საკაცობრიო პროგრესისა. გაფართოვება ადამიანთა განწყობილებათა წრისა კი მარტო შინაგან ეკონომიურ განვითარებას არ უნდა მივაწეროთ, არამედ ძლიერ ბევრ და რთულ ძალებს, რომელნიც მოქმედობენ ადამიანთა განვითარების პროცესში, — მაგალითად მეცნიერების განვითარებას, რომელიც ერთი გამოხატულება ადამიანის ნერვიული ენერგიის მუდმივი მოქმედებისა, რომელიც ჰქმნის თვით ეკონომიურ განვითარების საფუძველთა და ამლევლებს ხალხთა შორის მიმოსვლის, აგრეთვე მსწრაფლ გავრცელებას რომელიმე რელიგიური სისტემისას, როცა აგრეთვე მთავარ სახოგადო და სპეციალურ პირობებით ახსნება მხოლოდ, — თუ გნებავთ იმებსაც, რომელნიც აგრეთვე მრავალი რთული პირობებისაგან არიან დამოკიდებულნი, და მიუხედავად იმისა რომ თავისი სპეციფიური ხასიათით ჰქმნიან უხნეობის სფეროებს პოლიტიკურ და ეკონომიურ პროგრესისათვის, — იგინი არა პირდაპირად აფართოვებენ ადამიანის საკაცობრიო გვარეულობის თვით-შეგნებას, რომელზედაც აღმოცენდა და განმტკიცდება საყოველთაო საკაცობრიო მორალის ცნება, და სხვა.

ფაქტია, რომ საზოგადოებას თავის დღეში ვერ აკმაყოფილებდა კლასიური მორალი. იგი ყოველთვის ვიწრო იყო მისთვის, საზოგადო ცნება მორალისა ყოველთვის აჭარბებდა სიფართოვით და სიღრმით ყოველ ეკონომიურ განვითარებას, და ამიტომაც არის, რომ თანასწორობისაკენ მისწრაფება, რომლითაც დახასიათდება ყველა ეპოქები, ყოველთვის არ შეიძლება არავითარი საკაცობრიო მორალი, ყოველთვის ხდებოდა განურჩევლად იმისა, თუ როგორი იყო წესი წარმოებისა ამა თუ იმ ქვეყანაში, ამა თუ იმ საზოგადოებაში, ამა თუ იმ დროს.

მონობის დროს იმ ჩაგრულ მონათა მორალიც აჭარბებდა ვიწრო კლასიურ მორალს, რომელნიც აჯანყდნენ, მაგალითად სპარტაკის დროში ჰქონდ. მათი მორალი საყოველთაო, საკაცობრიო იყო, — მონები კომუნისტურ იდეას ატარებდნენ, — მათთვის ერთობა იყო, კომუნიზმი და თანასწორობა ერთად ერთი საშუალება მონობისგან თავის დახსნისა. საშუალო საუკუნოების ისტორია სავსეა ამგვარ მოძრაობათა მაგალითებით. კომუნებთა განთავისუფლების ისტორია, კომუნისტური რევოლუციები მე-XVI საუკუნეში, დიდი რევოლუცია ჰოლანდიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, — მათი სული, მათი მისწრაფება თანასწორობისაკენ, მათი ფართო საკაცობრიო მორალისა სრულიად ამტკიცებს იმას, რომ მიუხედავად წარმოების წესთა განსხვავებისა ამ სხვა და სხვა ეპოქაში, — ერთი და იგივე იყო ის ზნეობრივი მოტივები, რომლებიც ამოძრავებდნენ ხალხებს ერთი დიდი იდეის მისწრაფების დროს.

მეტად ცოტაა პეტრე კროპოტკინის წიგნიდან ხშირად მოყვანილია და ცხადად მიგვანიშნებს მას, როგორც ჩვენი აზრის გამომხატველს. „საერთოდ შევნიშნავთ, ამბობს კროპოტკინი: — როდესაც საერთო-ერთი დახმარების დაწესებულებანი, — თემი, სოფლის კომუნა, გილდია, საშუალო საუკუნის ქალაქი, — ჰკარგავენ ისტორიის ტამით ყოველ ეპოქაში თავის პირვანდელ ხასიათს, როდესაც ამ დაწესებულებებში იჩრდება პარაზიტული ელემენტები (— ეს უკვე ზნეობის დახასიათების საფუძველია — B.) და ამ გვარად პროგრესის ხელის შემშლელნი ხდებიან, ინდივიდების აჯანყება ამ დაწესებულებათა წინააღმდეგ ყოველთვის ორ გვარად იხატებოდა. ნაწილი აჯანყებულთა სცდილობს გაასწორონ ძველი დაწესებულებანი, ან შეიმუშაონ უმაღლესი ფორმანი საზოგადოებრივობისა, რომელიც დამყარებული იქნება იმავე საერთო-ერთი დახმარების პრინციპზე... მაგრამ იმავე დროს მეორე ნაწილი იმავე აჯანყებულთა სცდილობს დაარღვიონ საერთო-ერთი დახმარებაზედ დამყარებული დაწესებულებანი, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაადიდონ თავისი პირადი სიმდიდრე და ძალა. ამ სამგზობით დავაში, — ერთი მხრით აჯანყებულთა ორი კლასისა და მეორის მხრით ძველის დამცველთა შორის, — გამოიხატება ნამდვილი ტრაგედია ისტორიისა.“ [1])

კროპოტკინის წიგნი სწორედ ამ აზრის დასამტკიცებლად არის დაწერილი. მაგრამ განა მარტო კროპოტკინის წიგნია ამის მაჩვენებელი? როგორც ვსთქვით, — მთელი ისტორია კაცობრიობისა ამის დამამტკიცებელია. — მუდმივი მისწრაფება თანასწორობისაკენ, მუდმივი გაუმჯობესება და გაფართოება ზნეობრივ ცნებათა, — და აგრეთვე ადამიანის გვარეულობის შეგნების გაფართოების თანახმად გაფართოება საერთო-ერთი დახმარებისა მთელი კაცობრიობის სივრცეზედ და ამის საფუძველზედ საყოველთაო საკაცობრიო ზნეობის შემუშავება, — აი რაში გამოიხატება ერთ მნიშვნელოვან მხარეგანი საყოველთაო საკაცობრიო პროგრესისა. ყოველი დიდი მოძრაობის დროს თამაშობდა უმთავრეს როლს ეს დიადი ეთიკური ძალა, — ხან რელიგიოზურ ბურუსში გახვეული, როგორც მაგალითად პირველ-ყოფილი ქრისტიანობის დროს იყო, ხან უფრო ნაკლებ რელიგიოზურ ფანატიზმით გამოხატული და ნახევრად ნათლად შეგნებული, — როგორც იყო მე-XVI საუკუნეში, ხან მეცნიერულად შეგნებული და დასაბუთებული, როგორც დღეს არის, თანამედროვე სოციალიზმის დროს.

ამ მხრით ზნეობა, როგორც მუდმივი მისწრაფება თანასწორობისაკენ, არის მუდმივი მისწრაფება ინდივიდუალურ ენერგიის შეერთებისაკენ ისე, რომ ერთის მოქმედებამ მეორეს არ მოაკლოს ენერგია, — ამ მხრით იგი მუდმივი მისწრაფებაა ადამიანისა, როგორც განსაზღვრული სახის, მთელი სახის შენახვისაკენ. ეკონომიური განვითარება კი ერთი მხარე საზოგადოების შენახვის [illegible]ლობისა, და ამ აზრით ზნეობა მასზე უფრო ფართო ცნებაა. მეორე მხრივ ზნეობა ვერ განსაზღვრავს, განსაზღვრულ საზოგადოებაში, განსაზღვრულ დროს, იგი მისი პირდაპირი ფუნქცია არ არის.

მთელი ზნეობა შეგვიძლია, მაშასადამე, ადამიანის მუდმივ მისწრაფებას სრობლაში, გამოვხატოთ იმით, რომ ადამიანის მოქმედება ბოლოს და ბოლოს უნდა მოეწყოს ისე, რომ ინდივიდთა ენერგიების განწყობილებანი იყვნენ ნაკლებ ენერგიით ეკონომიაზედ დამყარებულნი, რომ ადამიანის მოქმედება უცილოვდებოდეს ფორმულას, — ნაკლები სამუშაო ენერგიით მეტი სასარგებლო ენერგიის შექმნა, ან ყოველ შემთხვევაში ენერგიის შენახვა და არა გაფლანგვა ყოველი ინდივიდისათვის, მაშასადამე მთელი კაცობრიობისათვის [2]). ეთიკური პროგრესის შედეგი ამგვარი იქნება, და მაგალითად თანამედროვე სოციალიზმი პირდაპირი მაგალითია ამისა, ვინაიდან ზემოხსენებული ეთიკის სრული განვითარება საზოგადოებაში მხოლოდ საკაცობრიო, სრული და თავისუფალ კომუნიზმის დროს შეიძლება, ე. ი. სოციალიზმის დროს. ამ მხრით

*) იხ. „ისარი“ № 48.

1) p. Kropotkine: Mutual Aid, Introduction, p. XVII.

2) [illegible] აზრი გადმოცემული ჩვენ „[illegible]“-ში, p. 87.

ზნეკა, ფულისენ კაიფერობზე და გამკურხის ნიკვიდილი სანჯული. (ამ სიტყვებს ლილის ტაშის ცემით შეეგება სათათბირო).

სიტყვა მიითხოვა ეპისკოპ. ეულოგიმ, თავმჯდომარემ ნება არ მისცა, რადგან ამისი ჯერი არ იყო. ბოლოს დეპუტატების თხოვნით დასთანხმდა.

ეპისკ. ეულოგი. ყოველი სიკვდილით დასჯის განაჩენი ადამიანს სისხლს უშრობს. ქრისტიანულის თვალით თუ შევხედავთ საქმეს, სიკვდილით დასჯა შეუძლებელია (ტაში). თუმცა მე მესმის მკითხველის, რომ რადგანაც ბოლომდე ვერ ვეთქვენს. სიკვდილი გასკლოვის კიდევ უფრო რი მკვლელობა. აქ საკითხი ირჩევა პოლიტიკურად, იურიდიულად და სახელმწიფოებრივად. ნება მიბოძეთ ვსთქვა, რომ პოლიტიკური მკვლელობა სამართლიანობის საფუძვლის შებრყევაა. ვკითხეთ კულტურული ტერორისტული აქტი, (ტაში მარჯვნივ).

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 52 ორატორი კიდევ დარჩა. ხმები—„წევნი სათიო". სხდომა სხდომის დახურვა. თავმჯდომარემ სხდომა 6 საათსა და 56 წუთზე დახურა.

შრომის ჯგუფი 16 მარტს სათათბიროში შეიტანს კანონ-პროექტს განსაკუთრებულ წესების გაუქმების შესახებ.

იუსტიციის მინისტრი შეიტანს ჯერ მინისტრთა საბჭოში და შემდეგ სათათბიროში კანონ-პროექტს სახელმწიფო დანაშაულისათვის გასამართლების წესების შეცვლისა და წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით გასამართლების გაუქმების შესახებ.

სახელმწიფო საბჭომ ხმის უმრავლესობით არ დაამტკიცა კანონ-პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რომელიც პირველმა სათათბირომ შეიტანა. დაადგინა, რომ სანამ მეორე სათათბირო არ წარმოადგენს ახალ პროექტს, არსებითად არ განიხილონ იგი. სახელმწიფო მეჯლისმა ამაზე 14 მარტს იქნება.

სხ. სათათბიროს ეპარქიათა წევრთა კრებამ, რომელსაც 60 კაცი დაესწრო, დაადგინა: შექმნან საკუთარი ეპარქიული ფრაქცია, რომ კომისიებში იმათაც მისცენ ადგილი და იმათ აზრს ანგარიში გაუწიონ.

(ამბოფრიუნი)

დეპუტატების დაზვერვა. სათათბიროს კრებებს შუა თავისუფალი დროითი ისარგებლა რამდენიმე დეპუტატმა და თავის მეუღლე სასტუმროებელ ალაგას დაბრუნდნენ. პეტერბურგის ადმინისტრაციამ საჩქაროდ აცნობა ადგილობრივ პოლიციას, თვალი გეჭიროთ შინ დაბრუნებულ დეპუტატებზე და მათი ყოფა-ქცე-

[illegible]

ვის შესახებ პეტერბურგში ცნობები მოგვაწოდეთო. ამის გარდა, როცა დეპუტატები პეტერბურგიდან მიდიოდნენ, თან რამდენიმე საიდუმლო პოლიციის აგენტი გაჰყვა.

სათათბიროს დეცვის გაძლიერება. ბოლო დროშის სათათბიროს „დამცველებად", დარაჯების გარდა, „დაცვის განყოფილების" 50 კაცი იყო დაყენებული. ამ ჟამად კი მათთვის კიდევ 29 ახალი დამცველი მოუმატნიათ: 27 სალდათი და ორი უფროსი ზედამხედველი. სათათბიროს მთელი დაცვა წელიწადში 60 ათასი მანეთი უჯდება ხაზინას.

მშრომელთა ჯგუფი. მშრომელთა ჯგუფის საზოგადო კრებაზე მოისმინეს სიტყვები ვილნისკის გუბერნიიდან განსაკუთრებით გამოგზავნილ ორი გლეხისა. გლეხებმა გამოუცხადეს დამსწრეთ, სოფელმა იმიტომ გამ-გვაგზავნა, რომ მხარი დაუჭიროთ სხვა დეპუტატებს და არა ხვენებს, რადგან ჩვენ გუბერნიაში მემარჯვენენი იქნენ არჩეულნიო. იმავე კრებაზე ნიჟეგოროდის გუბერნიის დეპუტატმა აუწყა დამსწრეთ იქ არსებული ახალი სახალხო ორგანიზაცია. მთელი გუბერნია 7 „კავშირად" არის გაყოფილი და თვითეულ „კავშირს" აქვს საკუთარი ორგანიზაცია. მეზობელთა შორის ყველა უთანხმოებას ირჩეული კაცები არკვევენ და სხვ.

თავ. გ. ი. ამირაჯიბის მოხსენების გამო

„ზაკავკაზიე"-ს მეოთხე ნომერში დაბეჭდილი იყო მოხსენება თავად.-აზნაურებისათვის საკუთარი გაზეთის დაარსების საჭიროების შესახებ, რომელიც თ-დ. გ. ი. ამირაჯიბს ტფ. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლისთვის წარუდგენია. ამ მოხსენებაში მრავალი ისეთი უტყუარი აზრია გამოთქმული, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავტოვოთ.

თ-დს ამირაჯიბს ძალიან გული უწყის ქართველ ხალხისთვის, ამასთანავე ძალიან გაკვირვებულია, რომ ყოველთვის მშვიდობიანი და რუსეთის ბიუროკრატიის ცითამდე ყურ მოჭრილი ყმა, ქართველი ხალხი, მშვიდობიან პოლიტიკას ასცდა და თავის მხნედს, ქართველ ხალხის ადამიანურ უფლების გამქრელებ ბიუროკრატებს პროკლამაციებითა და ყუმბარებით გაუმასპინძლდა. რაღის იყო, თ-დს ამირაჯიბს, რომ ქართველი ხალხი მშვიდობიან პოლიტიკას აცდა და თავისი მეგობრობა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობასთან შერიგებით სურდა გაეთავებინა? ეს არასოდეს არა ყოფილა. პირიქით, მთელი ცხოვრება ქართველ ხალხისა რუსეთთან შეერთების შემდეგ იყო ძლიერი პროტესტი ბიუროკრატიის

[illegible]

მარეთის უთანასწორობისა, მათ განსხვავებას, ეს ტენდენცია პროგრესსისადმი სუსტდება, ფერხდება და ბოლოს იშლება".[1])

თუმცა ჰენრი ჯორჯის ფორმულა პრო-

[illegible]

თვითნებობის წინააღმდეგ: აჯანყება მთიულეთში, ამბოხება კახეთში და მრავალი სხვა მოვლენა მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ქართველი ხალხი კი არა „ლოცავდა იმ დღეს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა", როგორც ამას თ-დი ამირაჯიბი გვიმტკიცებს, არამედ სწყევლიდა. ქართველი ხალხი კნორინგების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა, ის წოდება კი, რომელსაც თქვენ გეკუთვნით, თ-დო ამირაჯიბს, სიხარულით ეგებებოდა მათს განკარგულებებს, ტაშს უკრავდა მათს სიმხეცეს და მონური გრძნობებით გამსჭვალული ბიუროკრატიის ეროვნულ საშახტრში ლევდა სულს. განა გაქვთ უფლება ამის შემდეგ ქართველ ხალხის ლოიალობაზე ილაპარაკოთ და ატყუოთ ქვეყანა, რომ ქართველ ხალხს რუსეთის ბიუროკრატიასთან შერიგება სურდაო? თავად-აზნაურობა იყო, რომ შეერთების ასი წელი იდღესასწაულა, თავად-აზნაურობას სურდა თავისი ლოიალობა დაემტკიცებინა და არა ქართველ ხალხს, რომელსაც არც საქართველოს რუსეთთან შეერთებაში მიუღია მონაწილეობა და არც შეერთების ასის დღის დღესასწაულში.

მთავრობა გვეუბნება, თქვენ უმადურება გამოიჩინეთ. იმის მაგიერად, რომ ჩვენს მონაპოვარ ქმებად გამხდარიყავით, სარევოლიუციო მოქმედებას დაადექით და ამით დაამტკიცეთ, რომ სრულიად ვერ აფასებთ იმ სიკეთეს, რომელიც რუსეთის ბიუროკრატიამ ქართველ ხალხს მოუტანაო. მთავრობამ დევნა დაგვიწყო, ამბობს თ-დი ამირაჯიბი, და ჩვენს მოვალეობას ეხლა ის უნდა შეადგენდეს, რომ ეს დევნა მოვსპოთო.

ლოგიკა მოითხოვს ვალიაროთ, რომ, თუ მთავრობამ ქართველ ხალხს დევნა რევოლიუციონურ მოქმედებისთვის დაუწყო, ამ დევნის მოსასპობად ან არსებულ მთავრობის სრული გაუქმებაა საჭირო და ან კიდევ ბიუროკრატიასთან შერიგება, მის მონად გახდომა და მშვიდობიან პოლიტიკის აღიარება. პირველ პირობას თ-დი ამირაჯიბი, რასაკვირველია, ვერ დასთანხმდება, რადგან მას რევოლიუცია სძაგს და, როგორც რეაქციონერს, არც შეიძლება არ სძაგდეს. დარჩა მეორე პირობა, რომ ქართველმა ხალხმა უკუ აგდოს რევოლიუციონური გზა, მშვიდობიან, მორიგების პოლიტიკას დაადგეს და მუხლი მოიყაროს იმის წინაშე, ვინც ასე სასტიკად სტანჯავს ხალხს, ვინც ხალხის უმაჭიროეს მოთხოვნებს ცინიკურად დასცინის და მხოლოდ თავის ძლიერებისა და ბატონობის განმტკიცებაზე ზრუნავს.

მინის ბუნებისა". ტყუილა იგდებენ მარქსისტები ამ „ადამიანის ბუნებასაც" სასაცილოდ, რადგანაც იგი მეტაფიზიკური ცნება კი არ არის, როგორც ჰგონია მაგალითად ბ. პლეხანოვს, არამედ

[illegible]

თ-დმა ამირაჯიბმა მეორე გზა აირჩია. აქ რომ შეჩერებულიყო თ-დი ამირაჯიბი, ძალიან კარგს იზამდა, რადგან ისეთ ფიზიონომიას საქმიდ გამოჰკვეთდა იქნებოდა. ჩვენ გვეცოდინებოდა მაშინ, ვისთანაც გვაქვნდა საქმე, ჩვენ გვეცოდინებოდა, რომ მას რევოლიუცია არა სწამს, რომ არსებულ მთავრობის მოქმედებას იწონებს და ხალხს ბიუროკრატიის ეროვნულებას უჩნევს, მაგრამ მაშინ თ-დი ამირაჯიბი ხომ თავის ცხადს რეაქციონერობას გამოიჩენდა. ამის თავიდან ასაცილებლად ბრწყინვალე თავადი უმზრო ფრაზეოლოგიას იწყებს და სცდილობს გულ-უბრყვილო მკითხველი დაარწმუნოს, რომ მას ხალხისთვის გული შესტკივა, რომ იმის ერთად-ერთის საზრუნავს ხალხისთვის სამსახური შეადგენს.

მერე რა ხერხებით აპირებს თ-დი ამირაჯიბი ხალხის გაბედნიერებას? უპირველეს ყოვლისა აცხადებს, რომ სახელმწიფო სათათბიროში არჩეული დეპუტატები ხალხის სურვილების ნამდვილი გამომხატველები არ არიან, სოციალ-დემოკრატები ქართველ ხალხის გაჭირებასა და ტანჯვა-ვაებას რუსეთის მთავრობას ითვის ოდენსაც ვერ გააცნობენო. ქართველ ხალხის გაჭირების აღწერა და საჯაროდ გამოცხადება უნდა იკისროს თავად-აზნაურობამ, რომელიც წინად წოდებრივ ნიადაგზე არასოდეს არა მდგარა, და რომელსაც სიუცხოვედ შეუძლიან ამასთანა ძნელ საქმეს გაუძღვესო.

ჩვენ არა ვართ იმ აზრისა, რომ სოციალ-დემოკრატები ნამდვილი გამომხატველები არიან ხალხის ინტერესებისა, ჩვენ არც ისა გვწამს, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ქართველ ხალხის ნამდვილ საჭიროების დაცვას მოახერხებენ სათათბიროში, მაგრამ მაინც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვკითხოთ, რა მ თქვენზე ვალილებით უკეთესად დაიცავენ. მთელი ქართველი ხალხი თავად-აზნაურობის წინააღმდეგ არის აჯანყებული, თავად-აზნაურობამ „შავი რაზმები" დაარსა, თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, [illegible], რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა თავიდანვე მოესპო [illegible] ვინდაო, რომ ამ თავად-აზნაურობამ ხალხის ინტერესები დაიცვას და ხალხის „ნამდვილი" ინტერესები გააცნოს რუსის საზოგადოებასა და მთავრობას?

რაში მდგომარეობს ეს „ნამდვილი" საჭიროება ხალხისა თ-დ ამირაჯიბის აზრით? უპირველეს ყოვლისა თ-დი ამირაჯიბი ჩქარობს განაცხადოს, რომ პრინციპი კერძო საკუთრებისა ხელ-შეუხებელი უნდა დარჩესო. ეი, თურმე რაში ყოფილა „ნამდვილი" საჭიროება ხალხისა? თავად-აზნაურობა ვინერ წოდებრივ

სიერი მორალი), მისი შეცდომისა განსაზღვრულ ეკონომიურ, პოლიტიკურ და რელიგიოზურ პირობებთან, მან წარმოშობა „ეტნიკა", მაგრამ, ადამიანთა შორის მუდამ არსებობდა მუდმივი მო-

[illegible]

ნიადაგზე არა სდგანან, ამბობს [illegible] ბი, და, როდესაც ხალხი ყველა მიწების გამაპრობრიაციას თხოულობს, ეს მაინც [illegible] ვალე წოდების წარმომადგენელი [illegible] აცხადებს, კერძო საკუთრება [illegible] და ჩვენი ცხოვრების ქვა-კუთხედს უნდა შეადგენდესო. ჩვენ ამირაჯიბისაგან სოციალისტობას არა ვთხოულობთ,—ეს, აბა, რა იმისი საკადრისია,—ჩვენ მხოლოდ ამითი ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ თ-დ ამირაჯიბს ხალხის „ნამდვილი" მოთხოვნათა შესახებ არაფერი გაეგება და ხალხის სახელითაც ამაოდ ლაპარაკობს.

მეორე უებარი წამალი ხალხის პრილობათა განსაკურნავად თ-დ ამირაჯიბ... ქართულ ეკლესიის ავტოკეფალია მიაჩნია, მაგრამ, რადგან განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ნათლად დაგვიმტკიცა, როგორ უყურებს ეკლესიას ჩვენი ხალხი, ამაზე აღარ შევჩერდებით.

დარჩა ერთად-ერთი მოთხოვნა, რომელსაც ცოტაოდნად პროგრესიული ელფერი მაინც გადაჰკრავს,—ფართო საერობო თვით-მმართველობა. ეს ერთადერთი მოთხოვნაა, რომელსაც ჩვენებური მშიშარა ლიბერალები ვერ გასცილებიან; ვერ გასცილებია მას ვერც თ-დი ამირაჯიბი, რომელიც ყოველთვის მთავრობისა და „ჭეშმარიტ რუსთა" თვალსაზრისით გვესაუბრება, და რომელსაც ძალიან ეშინის, მთავრობამ და უმაღლესმა წრეებმა „შეურაცხველი" პოლიტიკა არ დამწამონ და განმათავისუფლებელ მოძრაობის მომხრეთ არ გამოაცხადონო.

დასასრულ, თავ. ამირაჯიბს გაუმეორებთ: თუ თქვენ გინდათ, რომ ჩვენი ხალხის „ნამდვილი ინტერესები" გამოხატოთ, როდესაც ხალხი მთელის მიწების გამაპრობრიაციას თხოულობს, თქვენ მას კერძო საკუთრების ხელ-შეუხებლობაზე ნუ ელაპარაკებით; როდესაც ხალხი ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებას თხოულობს, თქვენ მას ავტოკეფალიას ნუ აწოდებთ; როდესაც ხალხს თავის მოქმედების ერთად-ერთი მიზნად [illegible] მპყრობელ ბიუროკრატიის სრული დამარცხება მიაჩნია, როდესაც ხალხის უმეტესი ნაწილის გულის-ყური მიწაზე იქითკენ არის მიქცეული, რომ ძველი წეს-წყობილება ფესვიანად ამოგლიჯოს და პოლიტიკურად არ დაკმაყოფილდეს, თქვენ მთავრობასთან შერიგებაზე ნუ ლაპარაკობთ. ასე უნდა მოიქცეთ თქვენ, თუ გინდათ ხალხის ინტერესებს ემსახუროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს ლირსეულ მოღვაწეობას შთამომავლობა ლირსეულად დააფასებს და თქვენც ისე გაგიწევთ ანგარიშს, როგორც თქვენს რეაქციონურ მოღვაწეობას შეეფერება.

არ. [illegible]

ნივთიერების უკუს ისეთი წმინდა ანალიზი, რომ გამოიყოს სავსეთ მარტივი წმინდა ელემენტები. ელემენტები უმეტეს ნაწილად სხვა ელემენტებთან ერთად იმყოფებიან ნივთიერებაში, და განსაკუთ-

[illegible]

Bâton.

[1]) N. George, progress and Poverty. p. 359.

[1]) F. H. Giddings, The Principles of Sociology, p. 225.

[1]) ib. q. Le Bon, L'Evolution de la Matière.

ახალი ამბავი

✦ **ხამა (პორფირი) ჩოლარია.** გაზეთ „ქოლხ. სლოვო"-ს თანამშრომლები აცხადებენ „ტფ. ლისტ."-ში, რომ ქალაქ ს. მარაში სომხეთის ოლქიდან ადმინისტრატიული წესით გადასახლებული ხამა, იგივე პორფირე, ჩოლარია 13 თებერვალს ვილაც ხულიგანებს მოუკლავთ სამარას განაპირას. ნაცნობები მოუკლავთ რაღაც ორიოდ გროშის წასართმევად.

✦ **პოლიტიკური საქმეები.** 12 მარტს ტფ. სამ. პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, განიხილა პოლიტიკური საქმე ყარსის რკინის გზის შტოს სადგურ სანაინის მოხელეების ილიკო ხინველისა, მიხეილ ხოფერიისა, ნიკოლოზ თრუჯინიკიძისა და მუშის აბრამ აბრამიძისა. ამათ ბრალდებოდათ ისეთის წრის წევრობა, რომელსაც მიზნად აქვს სახელმწიფო წესწყობილების დამხობა. ბრალდებულთ იცავდნენ ვექილები ი. ზარათიაშვილი, პრიიძე, მაღალაშვილი და ზახუტაშვილი. პალატამ დამნაშავედ იცნო აბრამიძე, ი. ხინველი, ხოფერია და მიუსაჯა თითო წლით დაპატიმრება. თრუჯინიკიძე გაამართლა.

გუშინ, 13 მარტს, ტფ. სამ. პალატაში, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, დაიწყო გარჩევა პოლიტიკურ საქმისა. ბასუხის გებაში მიცემულნი არიან დედოფლის წყაროში მცხარ პოლკის ყოფილი ოფიცრები ქაჯაროვი, ვახვახიშვილი, არჩვაძე, ლ. კოზლოვსკი, ჯარის კაცები: ნიკოლაიჩი, ლობანევსკი და ზადიტი და აგრეთვე შულიტკოვსკის ქალი. ამათ ბრალდებათ სამხედრო კავშირში მონაწილეობის მიღება და მიტინგების გამართვა. პალატაში საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა.

✦ **ავადმყოფ არტისტის სასარგებლოდ.** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 7 აპრილს ტფ. საარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართოს კონცერტი, რომლის შემოსავალიც გადაიდება ვ. გუნიას და ი. კარგარეთელის სასარგებლოდ.

✦ **მუზეუმი.** კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის გამგემ სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, შეიძინოს ქალაქში დაუთმოს ადგილი მუზეუმისა და ბიბლიოთეკისთვის ახალ და შესაფერ შენობის ასაგებად.

✦ **დამშეულთა შესახებ.** ქართველთა საქველ-მოქმედო საზოგადოების დავალებით, როგორც ვწერდით, დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა გამგეობის წევრი ა. გ. ჯაბადარი. ბ-ნი ჯაბადარი უკვე დაბრუნდა. ქუთაისში შემდეგარი განყოფილება, რომელიც შესდგომია ფულის მოკრებას დამშეულთათვის. განყოფილების წევრთა კრებამ აირჩია კომისია და დაუვალა 10 დღის განმავლობაში დამშეულ ადგილების შესწავლა და მოხსენების წარდგენა.

✦ **სახალხო წარმოდგენა.** ეს რამდენიმე ხანია ხშირ და სხვა მიზეზის გამო ქართულ სახალხო სცენაზე შეწყვეტა წარმოდგენებისა მართვა. ამ დღეებში სცენის სხდომა შეიკრიბა და დაადგინა, განაახლოს მოქმედება. პირველი წარმოდგენა გამართება შაბათს 17 მარტს. წარმოადგენენ „ცხოვრების გზაზე".

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საველე სასამართლოში მისცეს დონის ოლქელი გიორგი დუგუარიძე და სილიბისტრო ტიგრან ქეხიშოვი. ამათ ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა და მეუხოვის ხაზინის მოკვლა. ასტრახანის გუბერნიაში იგზავნება ლაზ. ტერ-გრიგორიანცი. ეტაპით საგ.-გუბერნატორიდან იგზავნებიან ისაპილ იბრაგიმოვი, ო. მარქაროვი და ს. ბალაიოვი. ლუქნები დაუკეტეს და ოლ-ოლად ხუთი მანეთით დააჯარიმეს მელუქნეები: სოგარეჯოში—ი. ქურხული, წ. არუთინოვი, ნ. რცვაზოვი, ი. არუთინოვი, ნ. ტერ-გაბრიელოვი, ვ. მოვარიძე, გ. სტეფანაშვილი, ვ. რცვაზოვი, ვ. მირიმანოვი, მ. ქელიძე, ა. სულთანოვი და გ. ბაღდასაროვი. მიზეზი პატენტის აულებლობა.

✦ **მკვლელობა.** 12 მარტს საღამოთი ოლღას ქუჩაზე ვილაც უცნობებმა თიხბერ რევოლვერი ესროლეს და იქვე მოკლეს სავაჭრო ბოისსხუმიე ანატოლ რაიზმანი.

✦ **ქალაქის საბჭო.** რაც დრო გადის, მით უფრო უგულოდ ეკიდებიან ხმოსნები საქმეს. ჯერ ძლივ-წვალებით იკრიბებიან კვირაში ერთხელ და მერე სულ საათ ნახევარი არა სხდებიან და ისევ უკან ვირბიან. 12 მარტს საბჭომ ორი საქმის განხილვა ძლივს მოასწრო. 9 საათზე ვაი ვაგლახით შეიკრიბნენ. ხმ. ა. ბაბოვი შეეკითხა გამგეობას საყასბოს მდგომარეობის შესახებ. ბაბოვმა სთქვა, თითქმის ყოველ დღე იბეჭდება ცნობები საყასბოში უწესოების შესახებ და რატომ არავითარ ღონისძიებას არ მიიღებთო. თავმჯდომარემ სთქვა, საქმეს მალე გამოვარკვევთ და გაცნობებთო. ხმ. ბაბოვმა ლაპარაკი ჩამოაგდო აგრეთვე ქალაქის ხორცის შესახებ. ამ დუქნებზე 120,000 მან. გაიჭრა და დღემდე არა ცოცხი რათა. გამგეობამ სთქვა, მოხსენება ამ დუქნების შესახებ მზად არის, იბეჭდება და მალე წარმოგიდგენთო. შემდეგ საბჭომ გააცნო შედეგი საცდელად გამოცხობილ პურისა და აღმოჩნდა, რომ მესამე ხარისხის პური ჯდება გირვანქა 3,03. საბჭომ დაადგინა, ამ ხარისხის პურზე დარჩეს ძველი ნიხრი 3½ კაპ. საბჭომ მოისმინა მოხსენება ტრამვაის საზოგადოების ახალ შემდგენილ სავალდებულო დადგენილებების შესახებ. ქალაქის საქმეთა სარეზოლუციო დადგენილებათა ზოგიერთი მუხლი შეუცვლია. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ხმოსნები განარჩევენ და საქმის განხილვა გადაიდო.

✦ 11 მარტს, ღამის ასე 12 საათზე, დიმიტრიევის ქუჩაზე, კაზერმისის სახლიდან გამოსულა ქუთაისის გუბერნიის გლეხი პავლე ხურცაძე. მოულოდნელ დაუძახნია, გაჩერდით, მერე თოფი ესროლეს. ხურცაძე დაიჭრა, ტყვია არაგას მოხვდა. ხურცაძე დაიჭირეს და საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ 12 მარტს, დილის 11 საათზე, ცოლ-ქმრის აღმართიდან ქვები ჩამოცვივდა. ქვებმა დაჭყლიტა გზაზე ინჟინრის ვაჟიშვილი.

პრესსა

საქართველოს ავტონომიის აზრი, რომელიც პირველად სოც.-ფედერალისტთა პარტიამ წამოაყენა წინ, უკვე იმდენად დამწიფდა, იმდენად ღრმა ფესვები გაიდგა საზოგადოების და ხალხის ფიქრში, რომ ეხლა იმის გარშემო მრავალი სხვა და სხვა მიმართულების მიმდევრები გროვდებიან. ახლად გამოსული რუსული გაზეთი „გრუზინსკაია მისლ"-ი თითქმის მთლად ავტონომიის იდეის გამორკვევას ანდომებს თავის ძალღონეს.

სასიხარულოა, რომ ახალი გაზეთის რედაქცია საქართველოს ავტონომიის იმ მხრივ არკვევს, რომელი მხარეც აქამომდე თითქმის სრულიად დაჩრდილული იყო. დღემდე ვინც კი ავტონომიის შესახებ ან ფიქრობდა, ან სწერდა და ან ლაპარაკობდა, თავის უმთავრეს ყურადღებას იმის დასაბუთებისათვის ეხლანდელ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების პირობებში ეძებდა. გაზეთ „გრუზინსკაია მისლ"-ი კი ცდილობს უწინარეს ავტონომიის მოთხოვნის იურიდიულ სამართლიანობაზე მიგვითითებს. რედაქცია ნათლად და გადაჭრით აცხადებს, 1783 წელს შეკრულის ტრაქტატის ძალით საქართველოს ავტონომიური პოლიტიკური არსებობის უფლება აქვს; დღემდე რუსეთი უფლებრივი სახელმწიფო არ იყო, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური უფლებებიც ფეხქვეშ ითელებოდნენ, მაგრამ ეხლა რუსეთში უფლებრივი წესწყობილება მყარდება და საქართველოს უფლება ავტონომიურ ცხოვრებაზედაც განხორციელებულ უნდა იქნასო.

„გრუზინსკაია მისლ"-ის რედაქცია წინადადებას იძლევა, რომ „განახლებულ (?) რუსეთის" კანონმდებლებთა წინაშე აღძრულ იქნას საკითხი მოთხოვნა. ამ მოთხოვნაში რედაქციის აზრით შემდეგი უნდა იყოს ნათქვამი: „რუსეთის სახელმწიფო უფლების სახელმწიფოდ ხდება, ამიტომ საქართველო მოითხოვს, დაცულ იქნას მასთან შეთანხმების უფლებები, რომელნიც ასე ბრწყინვალედ არიან გამოთქმული ტრაქტატებში და იმპერატორების მანიფესტში და შეტანილ არიან რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში". რედაქციის აზრით სახელმწიფო სათათბიროს არ მოსახურავს და არ გვეტყვის უარს ჩვენ უფლებათა აღდგენაზე.

საერთოდ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ახალს გაზეთს, მაგრამ მისეული იმტომბაზმისა კი არავითარი არ გვეცხია. ისეთი ღრმა პოლიტიკური რეფორმა, როგორიც ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიაა, პეტიციებით არ განხორციელდება, რაც უნდა მაგრად და შეურყევლად იყოს დასაბუთებული იგი ისტორიულის სამართლიანობით და ტრაქტატებით. თუ ქართველი ხალხი მიაღწევს როდისმე ავტონომიურ თვითმმართველობის მოპოვებას, მხოლოდ პოლიტიკურ თვითშეგნების და მედგარის პოლიტიკურ ბრძოლის საშუალებით. ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ხალხი ბოლოს აუცილებლად მოიპოვებს ავტონომიას, მაგრამ მხოლოდ როგორც ქართველ მშრომელ ხალხის აუცილებელს სოციალ-პოლიტიკურ საჭიროებას და არა როგორც ისტორიულ სამართლიანობას. ისტორიამ და პოლიტიკამ სამართლიანობა არ იციან. იმისი ჩარხი ძალაა.

პროვინციის ცხოვრება

ქ. თელავი. ყველაფერი თელავში მეტად მხიარულად გატარა მესოფლეებია კრამა ნაწილს. დიდი „ბედნება" და კამპანიები, ხალხმია სტუმრად სიარული და ხან კლუბში წარმოდგენებს და მუსიკაზე თავის შექცევა. ვინ რა ჭკნულდება, თუ იქვე, მის გვერდით, ხალხს აფუსილებენ და ტყილისაგან მოსული გაჭირვების მოგბოლიკოზია პოლიტიკურ საქმეს იძიებს.

ვის რა დარდი აქვს, თუ სოფელი სასწავლებლიდან მოსწავლენი დაითხოვეს სწავლის ფულის შეუტანლობის გამო და სასულიერო სასწავლებლის ზოგ მოწაფეს სახლის პატრონი ქირაში აგდებენ შესის ფულის გადაუხდელობის გამო. საქ. სასწავლო მეტის მოსწავლე დაგდებით მიცემის და ქედ მოხდილი „ტაროგარული" მისდევდა. მეტისა, დასმიფა რამე და დაზვრევით მეტი, მაგრამ აღმოჩნდა სწ. ფულის შეუტანლობის გამო ერთი დათხოვნილთაგანი. ძველი ტანსამოსი ეცვა. თავზე დაგდებული ქედა ეხურა და ნავლეთ ნესტიდან თითქმის ყინავდა. მიდიოდა მიდიოდა და ნებართვის ასავლებად, რადგანაც 7 მან. შეუტანელი სკოლიში შესატანად. სად არიან თელავის ქველმოქმედნი, სად არიან სკოლის მასწავლებელნი, რომ ნაცნობ მოწაფე მიდიოდა მიანც არ იცნობს, სად არიან დარის მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წევრები? რა თქმა უნდა, არა სცალიათ, მხიარულობა, დროს გატარება, თავის შექცევა.

ვის რა საქმე აქვს თელაველ ს.-დემოკრატებისა, რომელნიც „მეჩხბედ" წიგნაკების გაყიდვას უწდიან. აბა რა სარგებლობას მოუტანს ხალხს წიგნაკი „ხალხის მტერია ს.-დემოკრატია", რომელიც ამას წინად კვირით გაზარში? ხალხს რომ წიგნაობა, ვაი თუ გაიგო რამე და ჭკუა შეიძინოს, ეს კი სასურველი არ იქნებოდა მათთვის...

ვის რა ჭკნულდება, თუ თელავის მაზრის მცხოვრებლები მოიმარჯვნა დროთა სარგებლობენ, ისინი, რომ სოფლად ცხოვრობენ. მისი მეტი გზა არა აქვთ და რასაც უნდა გასასლებენ მაჩვ. მოიტანენ ხელში თევზი, ბჟერი, რასაც კირეუკლა, ძველი და რაც არ ვარგოდებულიყო. ზოგი სარჩელი და ისე ქილები და სხვ. ამისთვის ვერცხლის არასის მოვიხვეთ. აბა რა ესიხარებოდეთ, ხომ იყვებოდნენ, ხომ ეგლეჯებოდნენ...

ამასთან მაგენტა წლეულს უკეთესი სხდომა ფასი ჰქონოდა. ვედრო ღვინოს ფასი 25—30 კ. კოდი —40—50 კპ., კარტოფ—70 კპ., კვერცხი წყვილი 5 კპ., თევზი 50—60 კპ. ლიტრას, რომელიც წინედ 15 კ. იყიდებოდა ხალხზე, ეხლა 30 კპ. ეყიდება.

დ. ყვარელი. აფრიკიდან მურკვდელის შემოდგომის ხიდებს ქ. ქეჯერი-გუბერნიატორმა, ნება მიეცა ადრეულიდან გამოდის დაბრუნების, სადაც მოკლეს, სახლში ნიკოლოზი, მაგრამ გუბერნატორმა უარი უთხრა. მერე სამეფო-ნაგებობისთვის მოუმართა, მაგრამ აქედანაც უარი მიუღიათ. ეხლა გადაუწყვეტიათ ამ ადგილს, სადაც მოკლეს შერკვლიძე და მისი ამხანაგები, ძეგლი აუგონ... თუ ეს მთავრობამ გაუგო, მაშინ მეტია, რომ აფრიკიდან შემოდგომის ნებას გაიღებს ადგილზე წამოსვლის. **მოწყალეური.**

რუსეთი

✦ **საქმე გერცენშტეინის მოკლის შესახებ.** 6 მარტს ფინლიანდიის ქ. კუოკკალაში განახლდა გერცენშტეინის მოკლის შესახებ საქმის განხილვა. თუმცა 4 თებერვალს სასამართლომ დაადგინა დაატუსაღოს ბრალდებულები ლარიჩკინი, ტოპოლევი, იუშკევიჩ-კრასკოვსკი და სხ., მაგრამ ამაოდ: რუსეთის ადმინისტრაციას არავითარი ზომები არ მიუღია იმათ დასაჭერად და ბრალდებულნი გაქრნენ. საქმის განხილვის დროს ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მოწმეს კრიკის ჩვენებამ. მოწმემ სთქვა, რუსთა კავშირის წევრი ვიყავი და კარგად ვიცი, რომ ლარიჩკინი, გამზეი გამზეიძე და ალექსანდროვი არიან გერცენშტეინის მკვლელები. თვით ჩემთვის არა ერთხელ უთქვამს ნამდვილ რუსთა მეთაურს იუშკევიჩ-კრასკოვსკის მოკვლას ცაპპიცისა, ფულსაც მიძლევდა ამ საქმისათვის, შემდეგ მოიხმო კავშირის წევრი ბულავინი და უსაყვედურებდა: ფული მიგაქვს და არაფერს აკეთებ,—ისეთი უბრალო საქმის ასრულება არ შეგიძლია, როგორიც პეტრუნკევიჩის მოკვლაა. ბულავინი შემდეგ „რუსთა კავშირის" მეორე მეთაურთან ბულაცელთან იყო, იმანაც საყვედური უთხრა უსაქმობისათვის, შემდეგ კი მიეფერა, აკოცა, ფული მისცა და მისი მოქმედებისათვის აქებდა. ჩემი საქმე კი წამდა, სთქვა მოწმემ: იუ.-კრასკოვსკისთან გაბეზღეს და იმან დამითხოვა კავშირიდან. მოწმეს ჩვენებით მკვლელების ორგანიზატორები დუბროვინი და კრასკოვი არიან.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მარტი.

კონსტანტ. ხოფ. კრასნოვში, პლეხამა და მერევი მარცვ გლეკა მოიხმო. ხოფ. პერეგამ, როცა კაზაკები გამოჩნდნენ, სალდათებზე ხრმლა აიწევს. ოფიცერს ჰ წყნი მოეკლეს. კაზაკებმა ხრმლითვე უპასუხეს. მოკლულია ათი კაცი. რამდენია დაჭრილი, ჯერ არ იციან.

ნიუ-იორკი. მანაგვადან ცნობა მოვიდა: ნიკარაგუელებმა ქ. ხილუტეკა დაიჭირეს, რომელსაც გონდურასის და სალვადორის ჯარი იცავდა. გონდურასის პრეზიდენტი გენერალი ბონილი გემით ჩაჯდა და თავს უშველა, იმის დასაჭერად გემი გაგზავნეს.

რომი. პეტერსბურგიდან მისულ ცნობებით, ვალახიამიაც დიდი არეულობა მომხდარა ებრაელების წინააღმდეგ. ბევრი ებრაელი მოკლულია. რამინი და მისი ვაჟი დაასახიჩრეს. ებრაელები ყველა ხალხი დაარბიეს და აიკლეს. ფინჯველმაიც არეულობაა ებრაელების წინააღმდეგ. ჯარი გამოიწვიეს. იასხამი დეკემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პეტერბურგი. პირველ რეალურ სასწავლებლის დერეფანში რაღაც ახალგაზრდულეობი მახალა გასკდა. აფეთქების შემდეგ მოსწავლენი კლასებიდან გამოცვივდნენ და ქიმიკური ლაბორატორია გამართეს. უფროსი კლასების მოსწავლეები კი პროკლამაციებს არიგებდნენ და ამხანაგებს დირექტორის ვოლკოვის საწინააღმდეგო ეწვეოდნენ. ბევრი მუშა ჩალეწეს, არავინ დამავებულა.

ხამ. პალატამ გაარჩია „სტრანას"-ის რედაქტორების კოვალევსკის და ივანოვკის ხაკანაციე ხარივარი და ივრივე გაამართლა, რადგან დანაშაული ვერ უპოვნა. ოლქის სასამართლომ ისინი დამნაშავედ იცნო მკვლელობისათვის და ერთი კვირით დატუსაღება მიუსაჯა.

მოსკოვი. ერთი თვის გაფიცვის შემდეგ ყველა (48) სტამბამ მუშაობა განაახლა. ლუპა ივ.: ხატ რონ ინ.

ბერლინი. ვისბადენში გარდაიცვალა პროფესსორი ფონ-ბერგმანი.

ბერნი. დამწვეთ ტატიანა ლეონტიევის საქმის გარჩევა. ლეონტიევასი ქალს ბრალად ედებოდა მოკვლა მმრელისა. ბრალდებულიამ სასამართლოზე განაცხადა: იცავოს დაცვის ცდილობი და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ტრეპოვის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიმიღიაო. მერე სთქვა: სარევოლუციო მოქმედებას შევუდექი გაპონის მანიფესტაციის შემდეგ. ხოფლისტრეგულიერ მაქსიმალისტებმა ერთად რაზმში მყვედი. მეთვალიერი მოვკალი შეცდომით, რომ დურნოვო მეგონა. შვეიცარიის ხალხსა და ფიცის მამათ დასდომეთ. რადგან მეთაურ უარი გაუდგენდა ფრიცერების ხურმის გადაღებაზე. ინტერესები სასამართლის გამომძიებელი და ქანდარებმა ტანსაცმელი შემოსხის, გამომძიებელმა ყელში ხელები წამოჰყრა და კედელს მიადო. ამის შემდეგ მე პირში ჩავაფურთხე და ჩვენების თქმაზე უარი ვუთხარი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გამომძიებელს და ქანდარმებს გამოჰკითხავენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**

განცხადებანი

პირველი კერძო საავადმყოფო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვერონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირების გარდა.

ექიმები:

ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

კ. ზ. მაქაცაძე: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ფ. ა. ზახაროვი: 10—11 ს. სხეულისა, ქალების და ბავშვების.

ზ. გ. ალექსიძე: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. ზ. მუშევი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ფილტვების.

კ. ა. გრიგორაშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ა. კანჩაველი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების.

ა. ა. ბერიძე: 1½—2 საათი. სახელის და ქალებისა.

გ. ა. გუგუნავა: 1—2 საათ. ქალებისა და სახლთა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საავადმყოფოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ა. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—42)

მეწაღეთა ამხანაგობამ

„ნდობამ"

დროებით შესწყვიტა ტყავეულობის ვაჭრობა, რადგან ვერავინ ხელს შეუწყო მისი წინ მსვლელობა (ვაჭრობა). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება,** სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნამუშევარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხსაცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შეი საქონლის ხელ მიხაწყდებ ფასიანი, აგრეთვე სახადებლით პარტიანისა, სუფია და მკვიდრი ნამუშევარი, რისთვისაც სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეძენას საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შეკოლების სათავსო საქმით. ვიღად ეტოციებ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გაუძლებით. ამხანაგობა გადაიტანა კირაპისი ქუჩაზე, ბეღდანოვის შენობაში, № 11-ში, ადრეცრიით სავაჭრო ნომრით საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**

(20—569—8)

იყიდება

წიგნების სავაჭრო ბუდკა კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ, ნიკოლოზის მოედანი მოლაპარაკება შეიძლება იქვე ხატ რონ იან. (3—6.—1)

კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერის

გადმოდა კრუგნის მოედანზე (მუხრანის ქუჩა, № 3), ხერქელოს საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩასვენება 3 მანეთი თითო კბილის სადისტეჭრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100 87)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესსიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

კ ა ნ ტ ო რ ა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მიუღებელი შეუძლიათ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.